დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA; ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრი: გიორგი ევგენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ---------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 თებერვლის N 224103 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - გიორგი ევგენიძე დაევალა ვიზიტი შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ში, მისამართი: (ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22).მიმდინარე წლის 18 მარტს, "ლოგისტიკის“ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება აკადემიის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პირებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის ობიეექტებთან. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ---------

აკადემია ნერგავს პროფესიული სტუდენტის ელექტრონულ პროფილს „ჩემი SBA“. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში პროფილი ექნება როგორც თავად სტუდენტს, ასევე მშობელსაც ან კანონიერ წარმომადგენელს. სივრციდან შესაძლებელი იქნება სტუდენტის შეფასების, დასწრების კონტროლი, ასევე ატვირთული იქნება ცხრილი და მოდულის პროგრამა, საჭირო ლიტერატურის ელექტრონული ვერსია. აღნიშნული პროგრამა სტუდენტსა და მშობლებს საშუალებას მისცემს აკონტროლოს როგორც დასწრების მაჩვენებელი, ისე შეფასება მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით. როგორც დაწესებულების წარმოადგენლებმა აღნიშნეს, სივრცის შექმნის ინსპირაცია გაჩნდა ინტეგრირებულ პროგრამებთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლობს ბევრი არასრულწლოვანი და უსაფრთხოების საჭიროებიდან გამომდინარე, აკადემიის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს სტუდენტის დასწრების შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო მშობელი.

აღნიშნული სივრცე არა მხოლოდ სტუდენტისთვის არის განკუთვნილი, არამედ პედაგოგებისა და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, რათა ერთად მოუყარონ თავი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეულ და დადასტურებულ სწავლის შედეგსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. გაზა ასევე გაამარტივებს სტატუსის აღდგენის შედგომ, სტუდენტის საჭიროებების და დარჩენილი მოდულების გამოკვეთას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

არ დაფიქსირებულა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის -SBA-ის დირექტორის 2024 წლის 25 მარტის # 00002865 კორესპოდენციით წარმოდგენილი იქნა პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტში ტექნიკური ხარვეზთან დაკავშირებით. ექსპერტთა მიერ გასწორებულ იქნა აღნიშნული ხარვეზი. ექსპერტთა შეფასება არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ არ შეცვლილა.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის №00000021 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	168
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	198
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის SBA-ის დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის #21 ბრძანებით დამტკიცებული ლოგისტიკის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის დანართი 4-ის სახით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი. დასაბუთების მიხედვით, პსდ-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე. დაწესებულებას მტკიცებულების სახით მოყვანილი აქვს 2021 წელს საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციის მიერ (GLA) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ჩატარებული ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში უნარებზე მოთხოვნის კვლევა. აღნიშნული კვლევა განხორციელდა GIZ-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ლოგისტიკის სექტორში დუალური პროფესიული განათლების განვითარების“ ფარგლებში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში პროფესიული განათლების დონეზე საჭირო კვალიფიკაციების გამოვლენა და შეფასება. აღნიშნული კვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა -„ტვირთების ექსპედირების სპეციალისტებზე“. ცხრილში მოხსენიებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის ბაზრის ანალიზი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ძალიან დიდია მოთხოვნა იმ უნარებზე, რომელთა გამომუშავებასაც უზრუნველყოფს ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. 2023 წლის ანგარიშის მიხედვით კი, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში, დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელება და მოსალოდნელი ტექნოლოგიების დანერგვა გაზრდის მოთხოვნას ისეთ პროფესიაზე, როგორიცაა ლოგისტიკის სპეციალისტი. მიზეანშეწონილობის დასაბუთებაში დაწესებულებას გაანალიზებული აქვს ასევე საკუთარი კვლევის შედეგებიც. ანალოგიური პროგრამა ლოგისტიკა (ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი/04113-პ) ხორციელდებოდა დაწესებულებაში 2018 წლიდან. ახალი პროგრამის დამატების ინიცირება გამოიწვია ძველი ჩარჩო დოკუმენტის (ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი/04113-პ) გაუქმებამ და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცებამ. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა აკადემიის კოლეგიალური ორგანოს - სენატის 2023 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე. ამ ეტაპზე წინა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში დამატებული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ლოგისტიკის არაინტეგრირებულ პროგრამაზე ჰყავს 42 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე -75, რაც ადასტურებს რომ პროგრამის მიმართ სტუდენთა დაინტერესება მაღალია. დაწესებულების მისია არ ზღუდავს დაწესებულების პროფილს. აკადემიის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს - ფორმალური და არაფორმალური სწავლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის SBA-ის დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის #21 ბრძანებით დამტკიცებული ლოგისტიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება; საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღნიშნული თანხვედრაშია ტვირთების ექსპედირების პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. დირექტორის 2021 წლის 07 ივლისის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ #166 ბრძანებით(ბოლო ცვლილება #197;22.09.23), რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ(ცვლილება 72/ნ;03.08.2023) ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რეგულირდება სტუდენტთა მიღების პროცედურები . აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ქმნის შესარჩევ კომისიას. კომისია ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოს ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესარჩევი კომისია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე, გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის და შემთხვევის განხილვის (ქეისი) დროს მიღებული შეფასების საფუძველზე მართვის სისტემის მიერ შედგენილ ფორმაში ადგენს რეიტინგულ სიას და რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. აკადემიას დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის #47 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომლის მე-5 თავი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის-- საკმარისობას (პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით) და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით). აკადემიამ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე წარმოადგინა ლოგისტიკის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 180 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო სხვა პროგრამის ფარგლებში, რომელშიც გამოყენებულია C1 სასწავლო გარემო, ქვოტა შეადგენს 280 პროფესიულ სტუდენტს. ლოგისტიკის პროგრამაზე, რომელზეც აკადემიას მოპოვებული აქვს 180 სტუდენტის ქვოტა, მიღება აღარ განხორციელდება და სწავლება განხორციელდება მილევად რეჟიმში. აღნიშნულიდან გამომდინარე, C1 სასწავლო გარემოს(ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია) თავისუფალი რესურსი 320 პროფესიული სტუდენტის მიღების საშუალებას იძლევა. აკადემია ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ტვირთების ექსპედირება, ფარგლებში შექმნილ პროგრამაზე - ლოგისტიკა მიღებას გამოაცხადებს პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მინიჭებულ ქვოტას გამოკლებული, სწავლის დაწყებამდე, მილევად პროგრამაზე არსებული აქტიური სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია ტვირთების ექსპადირების ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. ინტეგრირებული მოდულებისთვის დამტკიცებული საგანმანათლებლო რესურსებიც სრულ შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 19 აგვისტოს 170/ნ ბრძანებით დამტიცებული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობების ჩამონათვალთან. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ #47 ბრძანების(ბოლო ცვლილება #12, 17.01.2022წ) მესამე თავში გაწერილია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები, რომლის თანახმადაც პროგრამის დამტკიცება ხდება კოლეჯის დირექტორის მიერ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესდება, რომლის მეხუთე მუხლის 1-ლი პუნქტის, 36-ე ქვეპუნქტის თანახმად, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის SBA-ის დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის #21 ბრძანებით დამტკიცებულია ლოგისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია შემდეგი სწავლის შედეგები: აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები; აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები; დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა; მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია; განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა; აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა; აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ #47 ბრძანების(ბოლო ცვლილება #12, 17.01.2022წ) მესამე თავში გაწერილია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები, აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის #21 ბრძანებით დამტკიცებულია ლოგისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკის“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 123 კრედიტია, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში 168 კრედიტი. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 153 კრედიტს, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში 198 კრედიტს. **შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია და ხედვა ;
- სტრატეგიული გავითარების გეგმა(2020-2027);
- პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი ;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანამანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკის“ სასწავლო გეგმა;
- აკადემიის დებულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A სასწავლო გარემო - აკადემიის მიერ შერჩეულია აუდიტორია №202, №203, №206 და №204. აუდიტორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს შესაბამისად 34-ს, 30-ს, 30- ს და 30-ს. აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA 2 აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა: პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის საჭირო სკამი და მაგიდა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის.

B გარემო: 105 – სივრცე მოიცავს 16 სტუდეტის და 1 მასწავლებლის სამუშაო ადგილს, იგივე რაოდენობის, სწავლის შედეგების მიღწევისთის აუცილებელი პროგრამული უზრუნველოფით აღჭურვილი კომპიუტერს. პროექტორის ნაცვლად დამონტაჟებულია დიდი ზომის მონიტორი, რომელიც გამოიყენება მასწავლებლის მიერ სტუდენტებისათვის გადაცემული ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან. სივრცეში შეისწავლება ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმების და ტვირთის ტრანსპორტირების მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხები ისეთ ელექტრონული რესურსების გამოყენებით როგორებიცაა ტვირთების დოკუმენტაციის (მათ შორის სახიფათო ტვირთების) გაფორმების, ტვირთების გადაზიდვების მართვის და ტვირთების მონიტორინგის კომპიუტერული პროგრამები (ელექტრონული რესურსები), 121, 204 და 301 - სივრცეები მოიცავს 30 სტუდენტის და 1 მასწავლებლის სამუშაო ადგილს და ამავე რაოდენობის კომპიუტერს, 202 – 34 სტუდენტის +1 მასწავლებლის სამუშაო ადგილი და ამავე რაოდენობის კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია შიდა ქსელში და აქვს წვდომა ინტერნეტთან. სივრცეებში პედაგოგის მიერ გადაცემული ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის დამონტაჟებულია პროექტორი/დიდი ზომის მონიტორი. კომპიუტერები ჩართულია შიდა ქსელში, აქვთ წვდემა 105 სივრცეში მდებარე სერვერთან, რომელზეც ცაწერილია პროგრამით გათალისწინები სწავლის შედეგების მიღწევისთის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისთის.

დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება ქვემოთ მოყვანი 9 ლოგისტიკურ კომპანიასთან:

- შპს ევო ულუსკარარასი ნაქლიათ (30 სტუდენტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

- შპს ილო ტრანსპორტი (20 სტუდენტი)
- შპს სან ლოჯისტიკ (20 სტუდენტი)
- შპს „სარ გრუპ“ (20 სტუდენტი)
- შპს გაკო ტერმინალი (40 სტუდენტი)
- შპს „3 მ ტრანს (30 სტუდენტი)
- შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD. (15 სტუდენტი)
- სს ლელო (20 სტუდენტი)
- კაიროს ლოგისტიკ (30 სტუდენტი)

ხსენებულ პრაქტიკის ობიექტებზე, მათი საქმიანობის გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული II, III და IV სწავლის შდეგების მიღწევა. ამასთან, ხელშეკრულებებით დადგენილი კვოტების მიხედვით, საქართველოს ბიზნეს აკადემიას პრაქტიკის გავლის მიზნით შეუძლია ერთდროულად მიავლინოს 225 სტუდენტი, რაც გაცილებით აღემატება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა საერთო რაოდენობას. C1 სასწავლო გარემო - ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია, აუდიტორია №117/119. ლაბორატორია აღჭურვილია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობით და აღემატება ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის მოთხოვნილ სარეკომენდაციო რესურსის ნუსხას ქიმიური და ბიოლოგიური კომპონენტის ფარგლებში. ლაბორატორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 30-ს. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 57 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 16 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ზოგად მოდულების 13 მასწავლებელი, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი; ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან; „ხარისხის სამოქმედო გეგმაში“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება და დატრენინგების საკითხები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ წინარე ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით, რომელიც პროგრამის დამატების შემთხვევაში ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას. **ექსპერტთა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკის“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და აკადემიის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი კვლავაც გეგმავენ პროფესიული მასწავლებლების შემდგომ განვითარებას. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი საფუძვლიანად იცნობენ „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებით განსაზღვრულ შეფასების სისტემას, აქვთ როგორც დარგობრივი, ისე სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ რამდენიმე განმახორციელებლის საქაღალდე არ იყოს სრული. ზოგიერთ შემთხვევაში არ იდო ცნობები ნასამართლეობის არქონის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ასევე ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით და გასაუბრებით. აკადემიის ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის მოდულური პროგრამის სწავლებისათვის სატრანსპორტო ლოგისტიკის სახელმძღვანელოს თანაავტორი. ის იყო ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისას დარგის ფასილიტატორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით, მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ჩატარდა გასაუბრება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა. გარემოში განთავსებულია კომპიუტერები სამკითხველო მაგიდები, პრინტერი. კომპიუტერებში ატვირთულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: _____

ყველა ელექტრონული სასწავლო რესურსი და პროფესიული სტუდენტს თავისუფალი წვდომა ექნება მათზე. **ექსპერტთა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები შშმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ბიბლიოთეკართან ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება. აკადემიის საბიბლიოთეკო სერვისები იძლევა შესაძლებლობას მკითხველმა ადგილზე წაიკითხოს სახელმძღვანელო, გააკეთოს ცალკეული გვერდების ასლები ან ამობეჭდოს მისთვის სასურველი მასალა, მისთვის ხელსაყრელი ზომის შრიფტის გამოყენებით (გადიდებული ასოები ხელს უწყობს მცირე მხედველთათვის ტექსტის უკეთ აღქმას); საჭიროების შემთხვევაში აკადემიის ბიბლიოთეკა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ვიზუალურ ან შინაარსობრივ ადაპტირებას. სსსმ პირებისათვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად აკადემიის აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობით ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, ყრუ-მუნჯი პირებისათვის აკადემიას ჰყავს ჟესტური ენის თარჯიმანი. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, პროგრამის განაცხადს თან ახლავს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც განსაზღვრულია როგორც შემოსავლები ისე ხარჯები. რენტაბელურობის ზღვარი არის 19 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 180 პროფესიულ სტუდენტს. შესაბამისად, დაწესებულების შემოსავალი აღნიშნულ პროგრამაზე იქნება ხარჯზე ბევრად მაღალი. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს ბიზნესის აკადემიის SBA-ის დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის #237 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. საქართველოს ბიზნესის აკადემიის SBA-ის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ #47 ბრძანება(ბოლო ცვლილება #12, 17.01.2022წ), რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს.

პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგია და დანართების სახით წარმოდგენილი კითხვარები, ესენია:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

- დუალური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი;
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის;
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით.

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

2. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმით“, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. აკადემიას პროგრამის შემუშავის წესის 21-ე მუხლში აღწერილია პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცედურა. პროგრამის ხელმძღვანელი ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ამზადებს სამსახურეობრივ ბარათს, პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ სამსახურეობრივ ბარათს თან უნდა დაერთოს ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და ცვლილებების პროექტი; ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნა, სადაც არგუმენტირებულია პროგრამაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი;
- ფაქტობრივი გარემოება და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიას შემუშავებული აქვს „კალენდარული გეგმის“ ფორმა. აღნიშნული ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. ასევე დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, მათ შორის, ინტეგრირებული მოდულების განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

2. საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ში საწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლაში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა , როდესაც ფორს-მაჟორული სიტუაციაა და ვერ ხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, აკადემია მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

მეცადინეობები/კონსულტაციები.**ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს მასწავლებელთა მომზადების ისეთ მექანიზმებს, როგორიცა დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასების ორგანიზება, პარტნიორ დაწესებულებებში მივლინება და სხვა. სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა ხორციელდება აკადემიის დარგში წამყვან პარტნიორ კომპანიებში, თავად პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს ევო ულუსკარარასი ნაქლიათ; შპს ილო ტრანსპორტი; შპს სან ლოჯისტიკ; შპს „სარ გრუპ“ ; შპს გაკო ტერმინალი; შპს „3 მ ტრანს; შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD; სს ლელო; კაიროს ლოგისტიკ. პრაქტიკის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, პრაქტიკის ობიექტზე ერთჯერადად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები საწარმოო პრაქტიკის განხორციელების დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცედურები აკადემიაში დარეგულირებულია „პრაქტიკის ობიექტის/საწარმოს შერჩევისა და საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესით“ გაფორმებულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით და ითვალისწინებს დამატებითი ხელშეკრულება, რომელშიც დაწვრილებით განისაზღვრება მხარეთა შორის ურთიერთობები. აღნიშნული მემორანდუმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

თანახმად, პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას, გამოუმუშაონ პროფესიულ სტუდენტებს სწავლის ის შედეგები, რომელიც დანართის სახით თან ახლავს ხელშეკრულებებს. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. აკადემიას აქვს ქიმიურ/ბიოლოგიურ/ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში მუშაობისას დასაცავი უსაფრთხოების წესები, რაც თვალსაჩინო აკადემიის ტერიტორიაზე განხორციელებული სწავლების ფარგლებში. პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, პრაქტიკის ობიექტზე კი სპეციფიური უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

1. აკადემიის დირექტორის 2020 წლის 24 მარტის #31 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი(ბოლო ცვლილება #378 ბრძანება;08.12.2023), რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად. განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ -წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“ დარეგულირებულია შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის, გაფორმებისა და შენახვის პროცედურები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

აკადემიის საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის შესაბამისად მუშავდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. დაწესებულებამ გაგვაცნო საკუთარი პრაქტიკა ადგილზე ვიზიტისას სხვა პროგრამების ფარგლებში. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“ დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

26.03.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: ----------